მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები

მარტი, 2024

ძირითადი ცვლილებები

- 2024 წლის თებერვალში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მშპ-ს ზრდის ტემპმა შეადგინა 9.5 პროცენტი, ხოლო 2023 წლის საშუალო ზრდა 7.5 პროცენტზე დაფიქსირდა

- მარტში წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 0.5 პროცენტი და საბაზო ინფლაცია გაუტოლდა 2.4 პროცენტს

- თებერვალში ექსპორტი გაიზარდა წლიურად 2.0 პროცენტით და იმპორტი გაიზარდა წლიურად 4.4 პროცენტით, რამაც გაზარდა სავაჭრო დეფიციტი 6.3 პროცენტით წლიურად და გაუტოლდა 651 მლნ აშშ დოლარს

- თებერვლის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი გამყარდა 1.7 პროცენტით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 0.5 პროცენტით წინა თვესთან

- მარტში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8.25 პროცენტამდე შეამცირა

თებერვალში ეკონომიკურმა ზრდამ 9.5 პროცენტი შეადგინა

ეკონომიკური ზრდა, % წ/წ



- წინასწარი შეფასებით, 2024 წლის თებერვალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 9.5 პროცენტი შეადგინა, 2023 წლის IV კვარტლის ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი 6.9 პროცენტია, ხოლო 2023 წლის საშუალო ზრდა 7.5 პროცენტზე დაფიქსირდა. სეზონურად მოსწორებულმა ეკონომიკურმა ზრდამ თებერვალში წინა თვესთან შედარებით -2.4 პროცენტი შეადგინა.

- 2024 წლის თებერვალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა შეინიშნებოდა შემდეგ საქმიანობებში: დამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები, ინფორმაცია და კომუნიკაცია, ტრანსპორტი და დასაწყობება.

- კლება დაფიქსირდა ენერგეტიკის და სამთომოპოვებითი მრეწველობის სექტორებში. .

ეკონომიკური ზრდა, % თ/თ



ეკონომიკური ზრდა 2023-2019



წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2023 წლის მეოთხე კვარტალში რეალური მშპ საშუალოდ გაიზარდა 6.9 პროცენტით

მშპ-ს რეალური ზრდა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, 2023 IV კვარტალი



მშპ ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, 2023 IV კვარტალი



წყარო: საქსტატი

- წინასწარი შეფასებით, 2023 წლის მეოთხე კვარტალში ეკონომიკა 6.9 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მესამე კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზარდა 7.0 პროცენტით. 2023 წლის მეოთხე კვარტლის ზრდა 2019 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით 27.7 პროცენტიან ზრდას გულისხმობს.
- 2023 წლის მეოთხე კვარტალში მშპ-ს რეალური ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა:
  - განათლება: 30.4 % (1.3 პ.პ.)
  - პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები: 27.3 % (0.5 პ.პ.)
  - ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები: 26.9% (0.2 პ.პ.)
  - ინფორმაცია და კომუნიკაცია: 25.9 % (1.6 პ.პ.)
  - ტრანსპორტი და დასაწყობება: 17.7 % (1.8 პ.პ.)
  - სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება 16.8 % (1.0 პ.პ.)
  - უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები: 9.9 % (0.9 პ.პ.)
  - საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი: 9.4 % (1.5 პ.პ..)
- კლების მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა:
  - სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა: -8.1% (-0.5 პ.პ.)
  - ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება: -10.6 % (-0.3 პ.პ.)

მარტის წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 0.5 პროცენტი

მთლიანი და საბაზო ინფლაცია, % წ/წ



ინფლაციის დეკომპოზიცია



საბაზო ინფლაცია



ინფლაციის დეკომპოზიცია



წყარო: საქსტატი, სებ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სავაჭრო დეფიციტი თებერვალში წლიურად გაიზარდა 6.3 პროცენტით

ადგილობრივი ექსპორტის ცვლილება, % წ/წ



იმპორტის ცვლილება, % წ/წ



- თებერვალში ექსპორტი წლიურად გაიზარდა 2.0 პროცენტით და გაუტოლდა 464.7 მლნ აშშ დოლარს.
- ადგილობრივი ექსპორტი წლიურად შემცირდა 10.1 პროცენტით და გაუტოლდა 214.2 მლნ აშშ დოლარს.
- იმპორტი წლიურად გაიზარდა 4.4 პროცენტით და გაუტოლდა 1 115.2 მლნ აშშ დოლარს.
- სავაჭრო დეფიციტი წლიურად გაიზარდა 6.3 პროცენტით და გაუტოლდა 650.5 მლნ აშშ დოლარს.
- რეექსპორტის წვლილმა ექსპორტის ზრდაში შეადგინა 7.3 პროცენტი (15.2 %წ/წ), ხოლო ნედლეულის ექსპორტმა შეიტანა უარყოფითი 13.4 პროცენტიანი წვლილი (-50.8 %წ/წ).
- საინვესტიციო, სამომხმარებლო და შუალედური საქონლის იმპორტის წვლილმა იმპორტის წლიურ ზრდაში შეადგინა -0.3, 5.1 და -0.4 პროცენტი, შესაბამისად.

ექსპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ



იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ



წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საერთაშორისო ვაჭრობა ხასიათდება სტაბილური დივერსიფიკაციით

ექსპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი ექსპორტის %



ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, თებერვალი



იმპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი იმპორტის %



იმპორტი ქვეყნების მიხედვით, თებერვალი



- **ექსპორტის ტოპ საქონელი:**
  - მსუბუქი ავტომობილები: 150.5 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 32.4 პროცენტი.
  - ყურძნის ნატურალური ღვინოები: 29.6 მლნ აშშ დოლარი - 6.4 პროცენტი.
  - ფეროშენადნობები: 22.7 მლნ. აშშ დოლარი - 4.9 პროცენტი.
- **იმპორტის ტოპ საქონელი:**
  - მსუბუქი ავტომობილები: 132.0 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი იმპორტის 11.8 პროცენტი.
  - ნავთობი და ნავთობპროდუქტები: 106.6 მლნ აშშ დოლარი - 9.6 პროცენტი.
  - ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები სხვა: 59.2 მლნ აშშ დოლარი - 5.3 პროცენტი.
- **ექსპორტის ტოპ ქვეყნები:**
  - ყირგიზეთი: 79.3 მლნ. აშშ დოლარი - 17.1 პროცენტი.
  - აზერბაიჯანი: 58.5 მლნ. აშშ დოლარი, - 12.6 პროცენტი.
  - რუსეთი: 55.2 მლნ. აშშ დოლარი, - 11.9 პროცენტი.
- **იმპორტის ტოპ ქვეყნები:**
  - ევროკავშირი: 298.1 მლნ. აშშ დოლარი, - 26.7 პროცენტი.
  - თურქეთი: 204.3 მლნ. აშშ დოლარი, - 18.3 პროცენტი.
  - რუსეთი: 165.4 მლნ. აშშ დოლარი - 14.8 პროცენტი.

წყარო: საქსტატი

2024 წლის თებერვალში დაფიქსირდა წმინდა ფულადი გზავნილების 29.4 პროცენტიანი კლება

წმინდა ფულადი გზავნილები, 2024-2019



წმინდა ფულადი გზავნილები, თებერვალი 2024

ქვეყანა	წმინდა ფულადი გზავნილები (მლნ აშშ დოლარი)	ცვლილება, %წ/წ	წვლილი ზრდაში, პპ
რუსეთი	58.4	-68.3	-36.5
იტალია	43.0	13.0	1.4
აშშ	39.9	37.9	3.2
ისრაელი	19.9	24.9	1.2
საბერძნეთი	17.3	9.1	0.4
გერმანია	17.3	26.2	1.0
სხვა	47.4	-1.1	-0.1

- 2024 წლის თებერვალში წმინდა ფულადმა გზავნილებმა შეადგინა 243.3 მილიონი აშშ დოლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 29.4 პროცენტით ნაკლებია, ხოლო 2019 წელთან შედარებით 125.9 პროცენტით მეტია.
- წმინდა ფულადი გზავნილები გაიზარდა:
  - ირლანდია: 63.3 პროცენტი (0.5 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
  - საფრანგეთი: 18.4 პროცენტი (0.2 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
  - ესპანეთი: 18.1 პროცენტი (0.2 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
- წმინდა ფულადი გზავნილები შემცირდა:
  - რუსეთი: -68.3 პროცენტი (-36.5 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
  - აზერბაიჯანი: -63.1 პროცენტი (-0.2 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
  - თურქეთი: -57.9 პროცენტი (-0.6 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
  - ყირგიზეთი: -50.2 პროცენტი (-0.8 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)

წმინდა ფულადი გზავნილების წლიური ზრდა წყარო ქვეყნების მიხედვით



წყარო: სებ

თებერვალში რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 1.7%-ით გამყარდა

ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი

რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



ვალუტების კურსები აშშ დოლართან მიმართებაში



შენიშვნა: ზრდა ნიშნავს გამყარებას

	1 აპრილი, 2024	1 აპრ 2024 - 1 იან 2024	1 აპრ 2024 - 1 იან 2023
ევრო	2.9063	▲ 2.4%	▼ -0.8%
აშშ დოლარი	2.6953	▼ -0.2%	▲ 0.2%
თურქული ლირა	0.0833	▲ 9.2%	▲ 73.2%
რუსული რუბლი	0.0291	▲ 2.8%	▲ 26.3%
ნომინალური ეფექური გაცვლითი კურსი	191.06	▲ 2.6%	▲ 16.1%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (თებერვალი 2024)	148.67	▲ 0.5%	▲ 2.3%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ)

მარტში საგადასახადო შემოსავლები 4.7 პროცენტით ჩამორჩება პროგნოზს

ნაერთი ბიუჯეტის შესრულება, მარტი 2024



ნაერთი ბიუჯეტი, მლნ ლარი



გადასახადიდან მიღებული შემოსავალი, % წ/წ



ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები, მლნ ლარი



- 2024 წლის მარტში გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის ფაქტობრივმა მაჩვენებელმა შეადგინა 2,207 მლნ ლარი, რაც 4.7 პროცენტით ჩამორჩება დაგეგმილ მაჩვენებელს.

- 2024 წლის თებერვალში, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები წლიურად გაიზარდა 17.2 პროცენტით, ხოლო ხარჯები გაიზარდა 17.8 პროცენტით.

- ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, რაც წარმოადგენს მთავრობის დანაზოგს, შეადგინა 147.8 მლნ ლარი, ხოლო მთლიანი სალდო კი განისაზღვრა უარყოფითი 261 მლნ ლარით.

2024 წლის თებერვალში, გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის წლიურ ზრდაზე მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა იქონია დამატებული ღირებულებისა და საშემოსავლო გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა, შესაბამისად 8.4 და 4.3 პროცენტიანი კონტრიბუციებით მთლიან ზრდაში.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მარტში სახაზინო ფასიანი ქაღალდების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები შემცირდა

პორტფელის შემოსავლიანობის მრუდი



საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი



ემისია და მოთხოვნა, მლნ ლარი



ფასიანი ქაღალდების კომპოზიცია დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით (31 მარტი)



- 2024 წლის მარტში ჩატარდა 6 გამოშვების და 1 გამოსყიდვის აუქციონი. სახაზინო ფასიანი ქაღალდების ჯამურმა გამოშვების მოცულობამ შეადგინა 305.4 მლნ ლარი.
- საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 8.08%-ზე დაფიქსირდა.
- გამოშვებულ იქნა 6 და 12 თვის ვადიანობის და 3, 5, 7 და 11 წლის ნარჩენი ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები. დაიფარა 85 მლნ ლარის მოცულობის სახაზინო ვალდებულებები. განხორციელდა 45 მლნ ლარის ღირებულების სახაზინო ობლიგაციების დაფარვა.
- სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელს მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცდია. 2024 წლის 31 მარტისათვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის 38.5% ფორმირებულია (წინა პერიოდში 39.1% იყო) იმ ფასიანი ქაღალდებით, რომელთა დაფარვის ვადა დგება მომავალი 1-3 წლის განმავლობაში. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ფორტფელში ასევე დიდი წილი უკავია 3-დან 5 წლამდე ობლიგაციებს (დაახლოებით 28%). 5 წლიანი დაფარვის მქონე ფასიანი ქაღალდების წილი 18.6%-დან 21.1%-მდე გაიზარდა.
- მოთხოვნის კოეფიციენტი გასული თვის მაჩვენებელთან (თებერვალი 1.98) შედარებით გაიზარდა და 2.07 შეადგინა.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

თებერვალში სესხების ლარიზაციის დონე გაიზრდა, ხოლო დეპოზიტების – შემცირდა

სესხების ლარიზაცია





დეპოზიტების ლარიზაცია





- 2024 წლის 29 თებერვლის მდგომარეობით, მთლიანი სესხების ნაშთების ლარიზაცია 55.7 პროცენტს გაუტოლდა.
- ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 72.2 პროცენტი შეადგინა.
- იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ შეადგინა 36.6 პროცენტი.
- მთლიანი დეპოზიტების ლარიზაცია 49.2 პროცენტს უტოლდება.
- იურიდიული პირების დეპოზიტების ნაშთებზე ლარიზაცია 74 პროცენტს გაუტოლდა.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია 35.7 პროცენტს შეადგენს.
- ვადიანი დეპოზიტების ლარიზაცია შეადგენს 54.1 პროცენტს.
- მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია უტოლდება 47.8 პროცენტს უტოლდება.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 43.7 პროცენტს შეადგენს.

წყარო: სებ

სესხების წლიური ზრდის ტემპები მაღალ დონეზე ნარჩუნდება







- 2024 წლის 29 თებერვლის მდგომარეობით, 2023 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი სესხები 16.8 პროცენტით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით).
- იურიდიული პირების სესხების წლიური ზრდა 19.4 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 14.4 პროცენტს შეადგენს.
- 2024 წლის 29 თებერვლის მდგომარეობით, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდის მნიშვნელობა 18.4 პროცენტს გაუტოლდა.
- უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წლიური ზრდა 14.8 პროცენტს გაუტოლდა.
- 2024 წლის 29 თებერვლის მდგომარეობით, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიურმა ზრდამ 18.0 პროცენტი შეადგინა. ამასთან იპოთეკური სესხები, რომლებიც ეროვნულ ვალუტაშია დენომინირებული 25.4%-ით, ხოლო იპოთეკური სესხები, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, 11.9 პროცენტით გაიზარდა.

წყარო: სებ

დეპოზიტების წლიური ზრდა შემცირებულია







- მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2024 წლის 29 თებერვლის 2023 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 14.8 პროცენტს შეადგენს.
- ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა გაუტოლდა 28.1 პროცენტს, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა იმავე პერიოდში 4.2 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდამ 14.3 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების ზრდის მნიშვნელობა 14.9 პროცენტს გაუტოლდა.
- მიმდინარე ანგარიშების წლიურმა ზრდამ 2024 წლის მარტის დასაწყისში შეადგინა 10.3 პროცენტი.
- ვადიანი დეპოზიტების ნაშთების წლიური ზრდა 26.3 პროცენტს გაუტოლდა.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ზრდამ შეადგინა 5.3 პროცენტი.

წყარო: სებ

მარტში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8.25 პროცენტამდე შეამცირა

ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



სებ-ის სავალუტო აუქციონზე აშშ დოლარით ვაჭრობის დინამიკა, მლნ აშშ დოლარი



წყარო: სებ

- საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის სხდომა 2024 წლის 13 მარტს გაიმართა და სებ-მა რეფინანსირების განაკვეთი 0.75 პროცენტული პუნქტით შეამცირა და 8.25%-ზე დააფიქსირა.

- სებ-ს მიხედვით, ინფლაცია სამიზნე მაჩვენებელზე (3 პროცენტი) დაბალია. ამის მიზეზებია როგორც საგარეო, ისე - საშინაო ფაქტორები; რუსეთ-უკრაინისა და პანდემიისაგან გამოწვეული საგარეო შოკები შესუსტებულია, რაც მნიშვნელოვნად ასუსტებს მათ როლს ინფლაციის ფორმირებაში. რაც შეეხება შიდა ფაქტორებს, ამ მხრივ აღსანიშნავია ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის ინფლაციის კლება და მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გავლენები ფასებზე. შემცირებულია ინფლაციური მოლოდინებიც. მიმდინარე წლის მარტში ფაქტობრივმა ინფლაციამ 0.5 პროცენტი შეადგინა. მოსალოდნელია, რომ გაცვლითი კურსის გამყარების ფონზე, აღნიშნული გლობალური ტენდენციები ეტაპობრივად ადგილობრივ ბაზარსაც გადმოეცემა, რაც ინფლაციის დასტაბილურებას უწყობს ხელი. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ტენდენციებისა, ინფლაციის ბრდის რისკები მაღალ დონეზე რჩება, რაც მწვავე გეოპოლიტიკური სიტუაციათან ერთად სებ-ს უბიძგებს მონეტარული პოლიტიკის ნელი ტემპით შერბილებისაკენ.

- მონეტარული პოლიტიკის შემდეგი სხდომა 2024 წლის 8 მაისს ჩატარდება.

- 2024 წლის მარტში ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ბაზარზე რამოდენიმე ჩარევა განახორციელა. ამ პერიოდში სებ-მა პლატფორმა Bmatch-ის საშუალებით 114.3 მლნ აშშ დოლარი იყიდა.

საბაზრო საპროცენტო განაკვეთები უცხოურ ვალუტაზე მზარდია

საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე



საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე





- 2024 წლის 1 მარტის მდგომარეობით, უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 2.0 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით 10.7 პროცენტს.
- იურიდიული პირების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 10.8 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით 2.7 პროცენტს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 1.9 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 10.8 პროცენტს შეადგენს.
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 13.7 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 17.1 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.3 პროცენტს).
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე 16.0 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 17.1 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 7.8 პროცენტს).
- იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2024 წლის თებერვლის ბოლოს 13.1 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოურ ვალუტით 9.4 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 12.7 პროცენტი შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში 7.3 პროცენტი.

წყარო: სებ

საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.

საქართველო, თბილისი 0105, გორგასლის ქუჩა N16
ცხელი ხაზი: (995 32) 2 261 407
ელ. ფოსტა: info@mof.ge; www.mof.ge

საქართველოს ფინანსთა
სამინისტრო